RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ჩინეთი – არანეიტრალური მხარე რუსეთ-უკრაინის ომში

მედეა ივანიაძე

181
ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ექსპერტის აზრი

მედეა ივანიაძე

## ჩინეთი - არანეიტრალური მხარე რუსეთ-უკრაინის ომში

181

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

თავისუფალი სამყაროსთვის 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის - კომუნისტური ჩინეთის - პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომში ნეიტრალურს ვერ ვუწოდებთ. პეკინის პოზიცია ომის დაწყებამდეც ნათელი იყო - ის პრორუსული და მკაფიოდ ანტიდასავლური, განსაკუთრებით კი, ანტიამერიკულია. ჩინეთი არ გმობს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში და ამას შეჭრასაც არ უწოდებს, ის მხარს უჭერს რუსეთის ხედვას NATO-ს არგაფართოებაზე, პარალელურად კი, შანსს არ უშვებს, რომ დაძაბულობის გაღვივება დასავლეთს უსაფუძვლოდ არ გადააბრალოს. ამავდროულად, ჩნდება ცნობები პეკინის მიერ მოსკოვისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის პერსპექტივაზე. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ჩინეთი მოსკოვს სანქციების თავიდან არიდებაშიც დაეხმაროს.

სტრატეგიული პარტნიორის, რუსეთის, მიმართ ჩინეთის მხარდაჭერის ხარისხს ომის მიმდინარეობა და დრო აჩვენებს. თუმცა, მოსკოვის მხარდაჭერისა და დასავლეთის მიმართ უარყოფითი განწყობის მიუხედავად, პეკინი მაინც თავისი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად იმოქმედებს და თუ ჩინეთი გარკვეულ საკითხებში რუსეთს განუდგება, ეს არა უკრაინისადმი სოლიდარობის, არამედ მხოლოდ მისი ინტერესის გამო მოხდება.

**რუსეთ-ჩინეთის „უსაზღვრო მეგობრობა“**

ჩინეთის და რუსეთის მეგობრობას დასავლეთის, განსაკუთრებით კი, აშშ-ის მიმართ წინააღმდეგობის გარდა, განაპირობებს როგორც ამ ქვეყნების რეჟიმების, ისე მათი ლიდერების მსგავსება. ამ მსგავსების საჩვენებლად ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მსგავსად, წარსულში კომუნისტური ჩინეთის ლიდერს - სი ძინფინგსაც გაუკეთებია არაორაზროვანი განცხადებები საბჭოთა კავშირის თაობაზე, რომელშიც იგი ამ ტოტალიტარული სახელმწიფოს დაშლას უარყოფითად აფასებდა (Buckley, 2013).

ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ბოლო წლებში რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა საკმაოდ მჭიდრო იყო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიმართულებით. თუმცა, იგი კიდევ უფრო გამყარდა უკრაინაში რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე 20 დღით ადრე. 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მიწვეულმა ვლადიმირ პუტინმა და სი ძინფინგმა თანამშრომლობისა და კოორდინაციის უპრეცედენტო დონის შესახებ განაცხადეს. 4 თებერვალს გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში აღინიშნა, რომ ამ ქვეყნების მეგობრობას საზღვრები არ აქვს და არ არსებობს თანამშრომლობის „აკრძალული“ სფეროები.

ერთობლივ განცხადებაში რუსეთმა და ჩინეთმა მხარი დაუჭირეს ერთმანეთის ხედვას საერთაშორისო გარემოს მათთვის სასურველ გარემოდ ტრანსფორმაციის შესახებ - რუსულმა მხარემ ხაზი გაუსვა ჩინეთის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის - „საზოგადოება კაცობრიობის საერთო მომავლით“ შექმნის „მნიშვნელობას“, ჩინურმა მხარემ კი საერთაშორისო პოლიტიკის „მრავალპოლუსიანი სისტემის“ ჩამოყალიბებისთვის რუსეთის ძალისხმევას გაუსვა ხაზი. (“Joint Statement of the Russian Federation and the People’s Republic of China on the International Relations Entering a New Era and the Global Sustainable Development”, 2022).

ერთობლივ განცხადებაში, იმ დროს უკვე უკრაინის გარშემო არსებული საკმაოდ სერიოზული დაძაბულობის ფონზე, ძალზე საყურადღებო იყო მოსკოვის და პეკინის გზავნილი NATO-ს მიმართ, რომლითაც მათ: 1) განაცხადეს, რომ ეწინააღმდეგებიან NATO-ს გაფართოებას; 2) მოუწოდეს მას, რომ უარი თქვას „ცივი ომის დროინდელ იდეოლოგიზებული მიდგომებზე და პატივი სცეს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, უსაფრთხოებასა და ინტერესებს, მათ ცივილიზაციურ, კულტურულ და ისტორიულ მრავალფეროვნებას".

რუსეთ-ჩინეთის ეს ერთობლივი განცხადება 2021 წელს აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, ინიციატივით გამართული „სამიტი დემოკრატიისთვის" ერთგვარ პასუხადაც შეიძლება აღვიქვათ, იმ ღონისძიების მთავარ იდეად ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ დემოკრატიების კონსოლიდაცია მიიჩნევა.

**ჩინეთის მწვანე შუქი რუსეთს?**

შესაძლოა, ვერასდროს გავიგოთ, დახურულ კარს მიღმა 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადის დაწყებისას უკრაინის თემაზე, კერძოდ, რაზე ისაუბრეს ვლადიმირ პუტინმა და სი ძინფინგმა, თუმცა, სავარაუდოდ, პეკინს მოსკოვისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას აპირებდა, მაგრამ მისი მასშტაბების თაობაზე, შესაძლოა, ინფორმირებული არ იყო. ამასთან, თუ დავუშვებთ, რომ ჩინეთს ჰქონდა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია რუსეთის გეგმებზე, შესაძლოა, პეკინი თვლიდა, რომ რუსეთი ე.წ. ბლიცკრიგის განხორციელებას შეძლებდა, რის გამოც დასავლეთი მას მკაცრ პასუხს არ მოსთხოვდა, NATO-ს გაფართოება კი შეკავებული იქნებოდა.

უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე და მას შემდეგაც არაერთი ინფორმაცია გავრცელდა რუსეთ-ჩინეთის კოორდინაციაზე. მათ შორის, ა.წ. 3 მარტს The New York Times-მა ერთ-ერთი დასავლური ქვეყნის დაზვერვის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერა, რომ თებერვლის დასაწყისში პეკინმა მოსკოვს სთხოვა ზამთრის ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე უკრაინაში არ შეჭრილიყო (Barnes, 2022).

მართლაც, 20 თებერვალს ჩინეთში ოლიმპიადა ოფიციალურად დასრულდა, მეორე დღეს კი პუტინმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც მან აღიარა ოკუპირებული დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. დამოუკიდებლობა და მალევე იქ რუსეთის ჯარის შეყვანის ბრძანებაც გასცა. ეს კი უკვე ომის დაწყებას მოასწავებდა (Roth and Borger, 2022).

25 თებერვალს The New York Times-მა აშშ-ის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ სამი თვის განმავლობაში აშშ ჩინეთს სადაზვერვო ინფორმაციას აწვდიდა უკრაინის საზღვრებთან რუსეთის ჯარების კონცენტრაციის თაობაზე და მოუწოდებდა პეკინს, მოსკოვი დაერწმუნებინა, რომ უკრაინაში არ შეჭრილიყო. ჩინური მხარე ამის პასუხად კი ამბობდა, რომ მათ უკრაინაში რუსეთის შეჭრის არ სჯეროდათ. უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე რამდენიმე საათით ადრე ვაშინგტონში ჩინეთის ელჩს კიდევ ერთხელ შეხვდნენ, თუმცა მას პოზიცია არ შეუცვლია.

ამავე ინფორმაციით, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა ასევე გაიგეს, რომ პეკინმა მოსკოვს აშშ-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გაუზიარა და უთხრა, რომ აშშ უთანხმოების დათესვას ცდილობდა. პეკინმა მოსკოვს ასევე უთხრა, რომ მისი გეგმებისა და ქმედებებისთვის ხელის შეშლას არ შეეცდებოდა (Wong, 2022).

მოსკოვის ნდობას პეკინისადმი ისიც ადასტურებს, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ჯარი აღმოსავლეთის სამხედრო ოლქიდანაც კი გაიყვანა, რომელიც ჩინეთსაც ესაზღვრება.

ჩინეთის მწვანე შუქის პარალელურად ჩნდება კითხვა: ზოგადად, სურდა თუ არა ჩინეთს რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი ომის ხილვა? ჩინეთს არ უნდა უნდოდეს ომის შედეგად შესაძლო ეკონომიკური ზიანი - მარტში ჩინეთის პრემიერმა ლი ქეციანგმა 2022 წელს მოსალოდნელი დაახლოებით, 5.5%-იანი ზრდის შესახებ დააანონსა, რაც ყველაზე დაბალია 1991 წლის შემდეგ (Ni, 2022), ამასთან ერთად, მიმდინარე წელს გაიმართება ამ ათწლეულში ჩინეთის მმართველი ელიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა - ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-20 ეროვნული კონგრესი. სავარაუდოდ, ჩინეთის მმართველ ელიტას ურჩევნია ამ ღონისძიებას მშვიდ გარემოში და ნაკლები შიდა თუ საგარეო პრობლემებით შეხვდეს.

## ჩინეთის პრორუსული და ანტიდასავლური ნარატივი

### *ორმაგი სტანდარტი დონბასზე*

რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების, ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება ჩინეთს არ დაუგმია და ხშირად გაჟღერებული ნარატივი გაიმეორა, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ „ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ლეგიტიმური შეშფოთებები პატივისცემას იმსახურებს და გაეროს წესდების მიზნები და პრინციპები ერთობლივად უნდა იყოს დაცული“.

დონბასის საკითხზე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთის მხარემ არ უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, დაარღვია თუ არა რუსეთმა მინსკი 2-ის პროტოკოლი დონბასის აღიარებით (“Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 22, 2022”, 2022). პეკინისთვის დონბასთან დაკავშირებით ასეთი პოზიციის დაკავება არაკომფორტული უნდა იყოს, რადგან ჩინეთი ხშირად ხაზს უსვამს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მნიშვნელობას. ასევე, ის ეწინააღმდეგება, მისი შეფასებით, სეპარატიზმს ჩინეთში, იქნება ეს ჰონგ-კონგის შემთხვევა, სინძიანგის, ტიბეტის თუ ტაივანის საკითხი. სეპარატიზმი, ჩინეთის შეხედულებით, „სამი ბოროტი ძალიდან“ (三个势力) ერთ-ერთია (დანარჩენი ორია - ტერორიზმი და ექსტრემიზმი). იგი ცდილობს, რომ ამ „სამ ბოროტ ძალასთან“ გამკლავების კონცეფცია სინძიანგის რეგიონში საკუთარი გენოციდური პოლიტიკის გასამართლებლად გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორიული პრეტენზიების შემთხვევა განსხვავდება დონბასის საკითხისგან, მისი პოზიცია ოკუპირებული დონბასის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ასუსტებს მისსავე ნარატივს სუვერენიტეტის შესახებ და აჩვენებს მის ორმაგ სტანდარტებს.

*რუსული პროპაგანდის გამეორება და დასავლეთის დადანაშაულება*

ჩინეთი დღემდე არ გმობს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში და ამას შეჭრას არ უწოდებს. მისი პოზიცია რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე და მას შემდეგაც რუსული პროპაგანდის შესაბამისია. ამასთან, პეკინი მუდმივად ხაზს უსვამს რუსეთის „ლეგიტიმურ და გონივრულ შეშფოთებას უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით“ და დასავლეთს ამის გათვალისწინებისკენ მოუწოდებს.

NATO-ს შესახებ რუსულ პროპაგანდას ჩინეთიც ხშირად იმეორებს - თითქოს NATO-ს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების გამო „რუსეთის ლეგიტიმური უსაფრთხოების მოთხოვნები სერიოზულად და სათანადოდ უნდა იქნეს მიღებული“. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვანგ იმ 1 მარტს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებასთან საუბარშიც გაიმეორა რუსული ნარატივი, რომ რეგიონული უსაფრთხოება სამხედრო ბლოკების გაფართოებით არ მიიღწეოდა და ერთი ქვეყნის უსაფრთხოება სხვა ქვეყნების უსაფრთხოების ხარჯზე არ უნდა მიიღწეოდეს (“Wang Yi Speaks with Ukrainian Foreign Minister Dmytro Kuleba on the Phone”, 2022). ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ა.წ. 25 მარტს ხელახლა გაავრცელეს პროპაგანდისტული ცნობა, თითქოს „ცივი ომის შედეგად შექმნილი NATO ომის გარდა“ სხვა მიზანს არ ემსახურებოდა, რომ თითქოს, მას „არასოდეს შეუტანია წვლილი მსოფლიოს მშვიდობასა და უსაფრთხოებაში“ და არც არასოდეს გააკეთებდა ამას. „ყველა, ვისაც ნამდვილად უყვარს მშვიდობა და მოწოდებულია მისი განმტკიცებისთვის, უარს იტყვის NATO-ს გაფართოებაზე”, - განაცხადეს ჩინეთის სამინისტროში. (“Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on March 25, 2022”, 2022).

ჩინეთი რუსეთის ნაცვლად დასავლეთს უსაფუძვლოდ სდებს ბრალს. ჩინეთი აშშ-ს უკრაინა-რუსეთის საკითხში „დაძაბულობის გაზრდაში“ ადანაშაულებს და პრობლემად მიიჩნევს არა რუსეთის თავდასხმას, არამედ, მაგალითად, იმას, რომ დასავლეთი უკრაინას თავდაცვისთვის შეიარაღებას აწვდის (“Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying’s Regular Press Conference on February 24, 2022”, 2022). აშშ-ის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარში ჩინეთის ლიდერმა ჩინური ანდაზით ომში დასავლეთისა და აშშ-ის, თავისივე ხედვით, პასუხისმგებლობა აღნიშნა - „ვეფხვს ვინც ზარი შეაბა, მანვე უნდა ჩამოხსნას“ (“President Xi Jinping Has a Video Call with US President Joe Biden”, 2022).

ა.წ. 7 მარტს, როდესაც ომის დაწყებიდან საკმაო დრო იყო გასული და რუსეთის აგრესია და მის მიერ ჩადენილი ომის დანაშაული ეჭვს აღარ იწვევდა, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთს ჩინეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი უწოდა და აღნიშნა, რომ ჩინეთის კავშირები მოსკოვთან არის „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორმხრივი ურთიერთობა მსოფლიოში“ (MORITSUGU, 2022). 30 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ჩინელ კოლეგას პეკინში შეხვდა, სადაც ვანგ იმ თქვა, რომ „ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებმა გაუძლო ცვალებადი საერთაშორისო სიტუაციის ახალ გამოცდას, დარჩა სწორ კურსზე და აჩვენა მდგრადი განვითარების იმპულსი“. მისივე თქმით, ისინი უფრო მტკიცე იყვნენ, რომ განევითარებინათ ურთიერთობები, და უფრო

თავდაჯერებული - სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის წინ წაწევაში (“Wang Yi Holds Talks with Russian Foreign Minister Sergey Lavrov”, 2022).

### ***ჩინეთის მანევრირება გაეროში***

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, გაეროში განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჩინეთის პოზიცია. 25 თებერვალს, ჩინეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხილვისას, სადაც უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე ძლიერი უკმაყოფილება გამოხატეს, ჩინეთმა კენჭისყრაში თავის შეკავებას მისცა ხმა. Reuters-ი დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ გაეროს ხმის მიცემა 2 საათით გადაიდო ბოლო წუთს აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ჩინეთთან მოლაპარაკებების გამო, რათა პეკინს თავი შეეკავებინა (Nichols and Pamuk, 2022). 2 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რითაც რუსეთს მოსთხოვეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ძალის გამოყენება უკრაინის წინააღმდეგ. ჩინეთმა კენჭისყრაში აქაც თავი შეიკავა (Falk and Reals, 2022).

ცხადია, რომ აქ ჩინეთი დასავლეთის წნეხის გამო რუსეთის აქტიური მხარდაჭერისგან თავს იკავებს, თუმცა, როდესაც ჩინეთს შესაძლებლობა აქვს, შანსს არ უშვებს რუსეთს არ დაუჭიროს მხარი. მაგალითად, რუსეთის მიერ 23 მარტს შემუშავებული რეზოლუცია უკრაინაში დახმარების ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ, სადაც მოსკოვის როლი არ იყო ნახსენები, გაეროს უშიშროების საბჭოში ჩავარდა. ამ რეზოლუციას მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი უჭერდა მხარს (Nichols, 2022). ასევე, ერთი დღის შემდეგ გაეროს წევრების უმრავლესობამ მოითხოვა უკრაინაში დახმარების ხელმისაწვდომობა, სამოქალაქო პირების დაცვა და გააკრიტიკა რუსეთი საშინელი ჰუმანიტარული სიტუაციის შექმნის გამო მას შემდეგ, რაც იგი უკრაინაში შეიჭრა. ჩინეთმა ამ კენჭისყრაში თავი შეიკავა (Nichols, 2022). 7 აპრილს გაერომ რუსეთისთვის ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობის შეჩერებას დაუჭირა მხარი, ჩინეთი კი რუსეთის გარიცხვის წინააღმდეგი იყო (Caldwell et al., n.d.).

### ***პეკინის მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი უკრაინასთან***

უკრაინის მიმართ პეკინის ზემოხსენებული პრორუსული ქმედებების მიუხედავად, ჩინეთი, მართალია, იშვიათად, მაგრამ ამბობს, რომ უკრაინა სუვერენული ქვეყანაა (“Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying’s Regular Press Conference on February 24, 2022”, 2022). პეკინი ხვდება, რომ ომი უკრაინაში შესაძლოა უკრაინის გამარჯვებით დასრულდეს და ცდილობს ყველა გზა არ მოიჭრას. ამ დრომდე უკრაინაში ომზე ჩინეთის ერთ-ერთ მკაფიო რეაქციად შეიძლება ჩავთვალოთ უკრაინისთვის ჩინეთის მოკრძალებული ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფა, რისი ღირებულებაც ამ დროისთვის, დაახლოებით, $ 2.3 მილიონია (Tian, Pollard, and Anantharaman, 2022).

უკრაინა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ჩინეთის „სარტყლისა და გზის ინიციატივისთვის“. ამასთან, იგი ჩინეთისთვის მისაღები პოლიტიკური და

მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი იყო. ომის დაწყებამდე, 4 იანვარს, სი ძინფინგმა და უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ერთმანეთს უკრაინასა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავი მიულოცეს, სადაც ჩინეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ ის დიდ ყურადღებას აქცევდა „ჩინურ-უკრაინულ სტრატეგიულ პარტნიორობას“ (“Xi Jinping Exchanges Messages of Congratulations with Ukrainian President Volodymyr Zelensky on the 30th Anniversary of the Establishment of China-Ukraine Diplomatic Relations”, 2022). პრორუსულ გზავნილებთან ერთად, სი ძინფინგი ზოგადად ომის საწინააღმდეგო, მშვიდობისკენ მოწოდებებითაც გამოდის და ასევე ზოგადად ამბობს, რომ „რაც შეიძლება მალე შეწყდეს საომარი ქმედებები“ (“President Xi Jinping Has a Video Call with US President Joe Biden”, 2022). მიუხედავად ამისა, ასეთი პოზიციის დაკავებისასაც ჩინეთი კვლავ ცდილობს არ ავნოს რუსეთის ინტერესებს.

აღსანიშნავია 25 თებერვლის პეკინის განცხადებაც, რომელშიც ნათქვამია, რომ უკრაინა უნდა მოქმედებდეს, როგორც ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და „არა - როგორც საზღვარი დიდი ძალების დაპირისპირებაში“ (“Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 28, 2022”, 2022). ამ განცხადებით პეკინმა უკრაინის სტატუსი დაასუსტა ისე, თითქოს მთავარი დაპირისპირება „დიდ ძალებს“, დასავლეთსა და რუსეთს შორის იყო, უკრაინა კი დასავლური სამყაროსგან განყენებულად წარმოაჩინა. ნარატივი, რომ თითქოს უკრაინა მეორეხარისხოვანი ქვეყანაა, პეკინისთვის უცხო არ არის. ა.წ. 19 მარტს, უკრაინაზე საუბრისას, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლე იუჩენგმა დასავლეთს დააბრალა „პატარა ქვეყნების“ პაიკად გამოყენება, რასაც მოაყოლა NATO-ს კრიტიკა იმ არგუმენტით, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის აღმოსავლეთით შესაძლო გაფართოებას დაუკავშირა (“Cherish Peace, Work Together in Unity,<br>and Pursue a Win-Win Future for the Asia-Pacific”, 2022).

**პრორუსული ჩინური მედია**

მაშინ, როდესაც ჩინეთის ოფიციალური პირები პირდაპირ ავრცელებენ დეზინფორმაციას პრორუსულ და ანტიდასავლურ ნარატივს რუსეთ-უკრაინის ომზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩინეთის მკაცრად კონტროლირებული სახელმწიფო მედიაც ამ ნარატივს იმეორებდეს. მიუღებელ მოსაზრებებს კი მალევე ეხება ცენზურა.

China Digital Times-ის ინფორმაციით, Beijing News-თან აფილირებულ ახალი ამბების გვერდზე Horizon News გაიჟონა ცენზურის შესახებ დირექტივები, რითაც ჩინეთის მედიასააგენტოებს უთხრეს, რომ თავი აერიდებინათ „რუსეთისთვის ნებისმიერი არასასურველი ან პროდასავლური“ მასალის გავრცელებისთვის (Wade, 2022).

კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია პარაოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე პარაოლიმპიადის კომიტეტის პრეზიდენტ ენდრიუ პარნსონსის ომის საწინააღმდეგო სიტყვის ცენზურისთვის დაქვემდებარება ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზიაში (The Japan Times, 2022).

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში შექმნილი გარემოსთვის უჩვეულო გამბედაობა გამოიჩინეს ხუთმა აკადემიკოსმა ჩინეთის ცნობილი უნივერსიტეტებიდან, მათ შორის, ცინხუასა და პეკინის უნივერსიტეტებიდან. ისინი საერთო წერილით შეეწინააღმდეგნენ რუსეთის მიერ დაწყებულ ომს უკრაინაში ("巴丢草 Badiucao, Twitter" 2022). Taiwan News-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის ცენზორებმა ეს წერილი სწრაფადვე წაშალეს (Gibson, 2022).

მედიაში პრორუსული ნარატივი და ცენზურა ჩინეთს, უპირველეს ყოვლისა, შიდა აუდიტორიისთვის სჭირდება, რათა საზოგადოებამდე სიმართლემ ვერ მიაღწიოს და რეჟიმის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა არ დაიწყოს.

**რუსულ-ჩინური დეზინფორმაცია და ტყუილი „ბიოლოგიურ იარაღზე"**

რუსეთ-უკრაინის ომზე ჩინეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ბიოლოგიური იარაღის" საკითხი. ჩინეთის ოფიციალური განცხადებებიდან დაწყებული სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მედიის ჩათვლით ჩანს, რომ ე.წ. ბიოლოგიური იარაღის მითის გავრცელებაზე რუსეთსა და ჩინეთს შორის აქტიური კოორდინაციაა.

რუსეთისა და ჩინეთისგან მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება ახალი არ არის. მაგალითად, ჩინეთის სახელმწიფო მედია 2020 წლიდან ავრცელებს დეზინფორმაციას საქართველოში ლუგარის კვლევით ცენტრზე (GFSIS, 2020). 2020-2021 წლებში ამ საკითხზე ჩინური დეზინფორმაციის მანქანა მაშინ ამუშავდა, როდესაც დასავლურ ქვეყნებში აქტიურად ალაპარაკდნენ პანდემიის ჩინეთში წარმოშობაზე და პეკინს გამოძიებისკენ მოუწოდებდნენ. ერთ-ერთ ჩინურ პროპაგანდისტულ მედიაში სექციაც კი გაჩნდა, დასახელებით „Covid-19-ის წარმოშობის მიკვლევა", სადაც ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, შეთქმულების თეორიებს და ცდილობდნენ პანდემიის წარმოშობაში სხვა ქვეყანა, ყველაზე ხშირად კი - აშშ, დაედანაშაულებინათ ("Tracing COVID-19 Origins", n.d.)

ამჯერად ჩინეთი მეტწილად რუსეთს ეხმარება გაავრცელოს პროპაგანდა, რომელიც დამყარებულია შეთქმულების თეორიაზე, თითქოს, აშშ ბიოლოგიურ ან/და ქიმიურ იარაღს ამზადებს უკრაინაში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხებზე დეზინფორმაცია ჯერ კიდევ რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე თავად რუსეთის და ჩინეთის პირველმა პირებმა გაავრცელეს ერთობლივად, ზემოთაღნიშნულ, 4 თებერვლის, განცხადებაშიც. კერძოდ, ითქვა, რომ თითქოს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების აქტივობები „ბიოიარაღის" შესახებ შეშფოთებასა და კითხვებს ბადებდა ბიოლოგიური იარაღის კონვენციასთან შესაბამისობის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა რუსეთისა და ჩინეთის უსაფრთხოებას და საზიანო იყო „შესაბამისი რეგიონების უსაფრთხოებისთვის" ("Joint Statement of the Russian Federation and the People's Republic of China on the International Relations Entering a New Era and the Global Sustainable Development", 2022).

რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციას უკრაინაში „ბიო-სამხედრო" აქტივობების

შესახებ და ირწმუნება, თითქოს ეს „საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების“ საგანი იყოს (“Foreign Ministry Spokesperson Zhao Lijian’s Regular Press Conference on March 8, 2022”, 2022).  რუსეთის მიერ გავრცელებულ მსგავს დეზინფორმაციაზე გაეროში ჩინეთის წარმომადგენელმა ჟანგ ძუნმა თქვა, რომ „რუსეთის მიერ წამოჭრილი შეშფოთება სათანადოდ უნდა იქნეს აღქმული“ (Zhang, 2022). ჩინეთის ოფიციალური პირების მსგავსად, შეთქმულების თეორიაზე დაფუძნებულ დეზინფორმაციას აქტიურად ავრცელებენ ჩინეთის სახელმწიფო მედიაშიც (Global Times, 2022), (中国日报网 2022).

**გაუწევს თუ არა ჩინეთი სამხედრო დახმარებას რუსეთს?**

დასავლეთის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთმა რუსეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ მზადყოფნა გამოხატა. კომუნისტური ჩინეთის ინტერესს თუ გავითვალისწინებთ, მას არ აწყობს, რომ მასთან დაახლოებული პუტინის ავტორიტარული რეჟიმი ამ ომში დამარცხდეს დემოკრატიულ და თავისუფლებისთვის მებრძოლ უკრაინასთან, რაც, შესაბამისად, დასავლეთის გამარჯვებასაც ნიშნავს. ამრიგად, ლოგიკურია, რომ ჩინეთს სურდეს რუსეთისთვის ქმედითი დახმარების გაწევა, თუმცა საკითხავია - რამდენად შეუძლია ეს.

ა.წ. 14 მარტს Financial Times-მა აშშ-ის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთმა ჩინეთს სამხედრო აღჭურვილობით დახმარება სთხოვა (Sevastopulo, 2022). ამავე დღეს გამოცემამ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს აშშ-მ მოკავშირეებს შეატყობინა, რომ ჩინეთი რუსეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევის მზადყოფნაზე მიანიშნებდა (Sevastopulo, 2022). ა.წ. 18 მარტს ევროკავშირის მაღალი რანგის ოფიციალურმა პირმა Politico-ს ანონიმურად უთხრა, რომ ევროკავშირის ლიდერებს ჰქონდათ „ძალიან სანდო მტკიცებულებები“ იმისა, რომ ჩინეთი რუსეთისთვის სამხედრო დახმარებას განიხილავდა (Lau, 2022). დამატებით, Reuters-ი აშშ-ის ოფიციალური პირის ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ ჩინეთმა რუსეთის ეკონომიკური დახმარების მზადყოფნაზე მიანიშნა (Shalal, 2022).

ჩინეთმა ყოველივე ზემოხსენებულს დეზინფორმაცია უწოდა (Shalal, 2022), ხოლო რუსეთმა განაცხადა, რომ მოსკოვს პეკინისთვის სამხედრო დახმარება არ უთხოვია (Faulconbridge, 2022).

აშშ-მ ჩინეთს შეატყობინა, რომ სანქციების თავიდან აცილების მცდელობები მას გარკვეულ შედეგებს მოუტანდა (Shalal, Martina, and Brunnstrom, 2022). ამასთან, ევროკავშირის მაღალი რანგის ოფიციალურმა პირმა თქვა, რომ ევროკავშირი ჩინეთს სავაჭრო შეზღუდვებს დაუწესებდა, რადგან „ეს არის ერთადერთი ენა, რომელიც პეკინს ესმის“ (Lau, 2022). აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ჯეიკ სალივანმა, მაღალი რანგის ჩინელ დიპლომატ იენგ ძიეჩისთან შეხვედრისას „პირდაპირ და ძალიან მკაფიოდ გამოხატა“ შეშფოთება ჩინეთის მიერ რუსეთის მხარდაჭერაზე (Pamuk and Lewis, 2022). ასევე, რომში აშშ-ის და ჩინეთის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ, ა.წ.

18 მარტს, ჯო ბაიდენმა სი ძინგფინთან ნოემბრის შემდეგ პირველი სატელეფონო საუბარი გამართა და გააფრთხილა, რომ თუ პეკინი რუსეთს მატერიალურ დახმარებას გაუწევდა, ამას შედეგები მოჰყვებოდა, რაშიც, სავარაუდოდ, სანქციები იგულისხმებოდა (Shalal, Martina, and Woo, 2022).

ამ სატელეფონო საუბრამდე ცოტა ხნით ადრე ტაივანის სრუტეში გაიარა ჩინურმა ავიამზიდმა, რასაც ასევე მიჰყვა აშშ-ის მართვადი რაკეტების გამშვები გამანადგურებლი (Lee, 2022). მართალია, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ავიამზიდის გავლა სატელეფონო საუბარს არ უკავშირდებოდა, მაგრამ დასავლეთთან დაძაბულობის დროს წარსულშიც არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც პეკინს ძალის დემონსტრირება მონდომებია. ტაივანთან ჩინეთის შეიარაღების აქტიური გამოჩენა ხშირად მიანიშნებს, რომ პეკინი ხაზს უსვამს, რომ მზადაა დაიცვას თავისი უმთავრესი ინტერესი.

პარალელურად, Reuters-ის ინფორმაციით, სამხედრო ანალიტიკოსები და დიპლომატები მიიჩნევენ, რომ დასავლეთის ზეწოლის გამო პეკინმა შეიძლება არ გარისკოს მოსკოვისთვის იარაღის ან საბრძოლო მასალის ღიად გადაცემა, მაგრამ მას შეუძლია შესთავაზოს სათადარიგო ნაწილებით ან კომუნიკაციის საშუალებებით დახმარება. გამოცემა სამ დიპლომატზე დაყრდნობით ასევე წერდა, რომ ჩინეთის გრძელი სახმელეთო საზღვარი რუსეთთან ასეთი ტრანსფერების მიკვლევას ართულებდა (Torode and Pollard, 2022).

ამ დროისთვის, როგორც ჩანს, ჩინეთის სურვილი, რუსეთისთვის სამხედრო დახმარება გაეწია, დასავლეთმა სანქციების მუქარით შეაკავა. 22 მარტს ჯეიკ სალივანმა თქვა, რომ არ უნახავს ჩინეთიდან რუსეთისთვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების არანაირი მტკიცებულება (Alper, Renshaw, and Reese, 2022).

**უკრაინის კიბერუსაფრთხოება და ჩინეთი**

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას აღსანიშნავია ცნობები ჩინეთის შესაძლო როლზე უკრაინის კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ. 1 აპრილს The Times-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიან შეჭრამდე ჩინეთმა კიბერთავდასხმა განახორციელა უკრაინის წინააღმდეგ. გამოცემა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ კამპანიას კოორდინაციას ჩინეთის მთავრობა უწევდა (Boyes, 2022).

The Guardian-ის თანახმად, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დაადასტურა, რომ ეროვნული კიბერუსაფრთოხების ცენტრი საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ბრალდებებს იძიებდა (Milmo, 2022). უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა კი განაცხადა, რომ The Times-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან კავშირი არ ჰქონდათ და ასეთი ინფორმაცია იმჟამად არ გააჩნდათ ("СБ України", 2022). უკრაინის ეს პასუხი, შესაძლოა, იქიდან გამომდინარეობდეს, რომ უკრაინას, ყველაფრის მიუხედავად, რთულ ვითარებაში სურს ან უწევს კარგი ურთიერთობები შეინარჩუნოს ჩინეთთან და ამდენად, შესაძლოა თავს იკავებდეს ჩინეთის დადანაშაულებისგან. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს 4 აპრილს

კულებას პოზიტიური განცხადება, ჩინელ კოლეგასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ (Kuleba, 2022).

ომის მიმდინარეობისას ასევე საყურადღებოა ჩინური კომპანია DJI-ის დრონების საკითხი. უკრაინის ვიცე-პრემიერმა მიხაილო ფედეროვმა თქვა, რომ რუსი ჯარისკაცები DJI-ის პროდუქტებს იყენებდნენ იმ რაკეტების ნავიგაციისთვის, რომლითაც უკრაინელ სამოქალაქო პირებს ხოცავდნენ და კომპანიას რუსეთთან კავშირის გაწყვეტისა და პროდუქტების დაბლოკვისკენ მოუწოდა (“Mykhailo Fedorov”, 2022). DJI-მ ბრალდებები უარყო (Baptista, 2022). მოგვიანებით, კი კომპანიამ განაცხადა, რომ „სხვადასხვა იურისდიქციებში შესაბამისობის მოთხოვნებს“ ხელახლა აფასებდა და დროებით აჩერებდა ბიზნესს რუსეთსა და უკრაინაში (Toh 2022).

ცნობების თანახმად, DJI ჩინეთის მთავრობისგან იღებს დაფინანსებას (Cadell, 2022). აშშ კი კომპანიას ადანაშაულებს, რომ ჩინეთის მთავრობას მხარს უჭერს ჩინეთში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მეთვალყურეობაში. კომპანიის წინააღმდეგ აშშ-ს არაერთი სანქცია აქვს დაწესებული (Shepardson and Nomiyama 2020) (“Non-SDN Chinese Military-Industrial Complex Companies (NS-CMIC) List Updates; Administrative Updates to the SDN, Consolidated, NS-CMIC, and SSI Lists”, 2021).

**სანქციების საკითხი**

ჩინეთი მკაცრად ეწინააღმდეგება რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას სურს რუსეთის დახმარება ეკონომიკური სანქციების აცილებასა თუ შემსუბუქებაში, თუმცა აქტიური ქმედებებისგან ამ დროისთვის თავს იკავებს. ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ჩინეთი რუსეთის დახმარებას შეეცდება იქ, სადაც მას ეს შეეძლება.

ჩინეთი რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდეც ეწინააღმდეგებოდა სანქციების დაწესების თაობაზე დასავლეთის მუქარას (“Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 15, 2022_ Embassy of the People’s Republic of China in the United States of America”, 2022). პეკინი ხშირად იმეორებს, რომ სანქციები პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი საშუალება არ არის. ჩინეთი ასევე ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის წინააღმდეგ ადრე დაწესებული სანქციების ეფექტიანობასაც (“Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying’s Regular Press Conference on February 23, 2022”, 2022).

სანქციები განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რომელმაც თქვა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები „უფრო და უფრო აღმაშფოთებელი ხდება“. მანვე განაცხადა, რომ თითქოს, რუსეთის მოქალაქეებს საზღვარგარეთ აქტივებს „უმიზეზოდ“ ართმევდნენ (Woo and Kerry, 2022).

ნათელია, რომ ჩინეთი ამ განცხადებებს რუსეთის ინტერესების პატივისცემის გამო აკეთებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ თავად ჩინეთი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, აქტიურად მიმართავს სანქციებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ჩინეთისთვის არასასურველ პოზიციას იჭერენ. მათ შორის,

ყველაზე თვალსაჩინოა ჩინეთის მიერ ავსტრალიისათვის დაწესებული სანქციები, მას შემდეგ, რაც ავსტრალიამ Covid-19-ის წარმოშობაზე დამოუკიდებელი გამოძიება მოითხოვა და აქტიურად დაიწყო საუბარი ჩინეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე (Bloomfield, 2021). ასევე აღსანიშნავია ჩინეთის მიერ ლიტვისათვის დაწესებული დე ფაქტო სანქციები, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ლიტვის გადაწყვეტილება ქვეყანაში ტაივანის არაოფიციალური წარმომადგენლობის ოფისის გახსნის თაობაზე (O'Donnell and Sytas, 2021). ამრიგად, ჩინეთისთვის სანქციები, როგორც ზეწოლის იარაღი, უცხო არ არის. განსხვავება ისაა, რომ თუ საერთაშორისო საზოგადოება სანქციებს, მაგალითად, ავტორიტარული რუსეთის დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ იყენებს, ჩინეთი ამას თავისუფალი ქვეყნების წინააღმდეგ საკუთარი ავტორიტარული და სტრატეგიული მიზნების დასაცავად მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ოლიმპიადის ფარგლებში პუტინსა და სის შეხვედრის დროს, პეკინმა მოხსნა რუსეთიდან ხორბლის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვები. ამ გადაწყვეტილების დეტალები ა.წ. 23 თებერვალს გამჟღავნდა (海关总署公告2022年第21号（关于允许俄罗斯全境小麦进口的公告）" 2022) (He, 2022). პუტინის პეკინში ვიზიტის დროს რუსულმა და ჩინურმა მხარემ ასევე ხელი მოაწერეს 30-წლიან ხელშეკრულებას ჩინეთის მიერ რუსული ბუნებრივი აირის გაზრდილი მოცულობის შესყიდვის თაობაზე (Aizhu, 2022).

4 თებერვალს Reuters-ის გავრცელებული ინფორმაციით, პუტინმა გამოაქვეყნა რუსული ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ ახალი შეთანხმებები ჩინეთთან, რომელთა ღირებულება, დაახლოებით, $117,5 მილიარდია. Reuters-ის გათვლით, მხოლოდ ბუნებრივი აირის გაყიდვებით რუსეთმა შეიძლება გამოიმუშაოს დაახლოებით $37,5 მილიარდი 25 წლის განმავლობაში. რუსულმა ნავთობკომპანიამ როსნეფტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩინეთის კომპანიასთან (CNPC) 10 წლის განმავლობაში ყაზახეთის გავლით ჩინეთისთვის 100 მილიონი ტონა ნავთობის მიწოდების თაობაზე. როსნეფტში განაცხადეს, რომ ახალი შეთანხმების ღირებულება $80 მილიარდს შეადგენდა (Soldatkin and Aizhu, 2022).

თებერვალში, პუტინის პეკინში ვიზიტისას, მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ 2024 წლამდე ვაჭრობამ $250 მილიარდს მიაღწიოს. 2021 წელს ჩინეთის და რუსეთის ვაჭრობამ $146.9 მილიარდი შეადგინა, რაც 2020 წლის შემდეგ 35.9%-იანი ზრდაა და რუსეთის მთლიანი ვაჭრობის 18%-ია (Qiu, Chen, and Munroe, 2022). ჩინეთის გენერალური საბაჟო ადმინისტრაციის მონაცემებით, 2021 წელს რუსეთი ჩინეთის მეორე ყველაზე დიდი ნავთობის მიმწოდებელი იყო $41.1 მილიარდის ღირებულების ნავთობის ექსპორტით (ზრდა 35.6%) და მესამე უმსხვილესი ბუნებრივი აირის მიმწოდებელი ($4.3 მილიარდის ღირებულების ექსპორტი, რაც 70.5%-იანი ზრდაა) (Global Times, 2022). ჩინეთის მონაცემებით, 2021 წელს ჩინეთში რუსულმა ექსპორტმა $79,3 მილიარდი შეადგინა, აქედან ნავთობსა და გაზს 56% ჰქონდა (Trevelyan, 2022). თუმცა, შედარებისთვის, თუ მიმდინარე წლის მონაცემებს ვნახავთ, თებერვალში რუსეთთან ვაჭრობა მხოლოდ $26,4 მილიარდი იყო მაშინ, როდესაც ევროკავშირთან - $137 მილიარდი, ხოლო აშშ-სთან - $123,3 მილიარდი (Westbrook and Yao, 2022).

ყველაფრის მიუხედავად, ჩინეთს ნაკლებად უნდა უღირდეს რუსეთის გამო დასავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაუარესება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთი მსოფლიოში მეორე ეკონომიკაა და მისი ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკას დაახლოებით 10-ჯერ აღემატება (“World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files. GDP (current US$) - China, Russian Federation.”, n.d.).

როგორც აღინიშნა, 18 მარტს ჯო ბაიდენმა სი ძინფინგს შეატყობინა იმ გავლენასა და შედეგებზე, რასაც ჩინეთი მიიღებდა რუსეთისთვის მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში (“Readout of President Joseph R. Biden Jr. Call with President Xi Jinping of the People’s Republic of China”, 2022). 25 მარტს სალივანმა თქვა, რომ ვაშინგტონი მზადაა გააფართოოს ეკონომიკური და ფინანსური სასჯელების ქსელი მთელ მსოფლიოში, რათა ის „მეორეულ“ სანქციებსაც მოიცავდეს (Politi, 2022).

დასავლურ მედიაში ვრცელდება გარკვეული ცნობები ჩინეთის ფრთხილ მოქმედებებზე. მაგალითად, 25 მარტს Reuters-მა წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი Sinopec Group-ი რუსეთში ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტებს აჩერებდა. ერთ-ერთმა წყარომ თქვა, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ და ორ კომპანიას მოუწოდა, არ გადაედგათ ნაჩქარევი ნაბიჯები რუსული აქტივების შესყიდვისას. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიებმა სამუშაო ჯგუფები შექმნეს რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე მუშაობენ საგანგებო გეგმებზე ბიზნესის შეფერხებისა და მეორეული სანქციების შემთხვევაში (Aizhu, Zhu, and Xu, 2022). ამასთან, თებერვლის ბოლოს Bloomberg-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩინეთის ორი სახელმწიფო ბანკი რუსული საქონლის შესყიდვის დაფინანსებას გარკვეულწილად ზღუდავდა (Bloomberg.com, 2022). აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის საავიაციო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის თანახმად, ჩინეთმა უარი თქვა რუსული ავიახაზებისთვის თვითმფრინავების ნაწილების მიწოდებაზე მას შემდეგ, რაც Boeing-მა და Airbus-მა კომპონენტების მიწოდების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს (Reuters, 2022).

პარალელურად, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამბობს, რომ ჩინეთი და რუსეთი ნორმალურ სავაჭრო თანამშრომლობას განაგრძობენ (“Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 28, 2022”, 2022). ეს ურთიერთობა შესაძლოა ისე გაგრძელდეს, რომ ჩინეთმა რუსეთს ეკონომიკური დახმარება იქ გაუწიოს, სადაც მას შეეძლება.

რუსეთის კონფუცის კულტურის ხელშეწყობის ასოციაციის ოფიციალური WeChat ანგარიშის თანახმად, 20 მარტს რუსეთში ჩინეთის ელჩმა ჟანგ ხანხუეიმ ჩინელ ბიზნესმენებს უთხრა, რომ არ დაკარგონ დრო და „შეავსონ უფსკრული“ ადგილობრივ ბაზარზე. ელჩმა აღნიშნა, რომ „ახალ სიტუაციაში“ ჩინეთის მთავრობა პოულობს გზებს ლოგისტიკისა და ფინანსური ტრანზაქციების სირთულეებთან ადაპტაციისთვის (Murphy and Glamann, 2022).

ასევე 24 მარტს Bloomberg-მა ანონიმურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩინეთის ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები ჩუმად ყიდულობდნენ იაფ რუსულ ნედლ ნავთობს. გამოცემის თანახმად, ჩინეთის დამოუკიდებელი ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები ქვეყნის ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების მეოთხედს წარმოადგენენ (Cho, Chen, and Chakraborty, 2022).

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ჩინური კომპანიების დიდი ნაწილი რუსეთში რჩება (Munroe, Goh, and Mallard, 2022). რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ჩინურმა კომპანიამ Didi რუსეთში საქმიანობის შეწყვეტის გეგმების შესახებ გამოაცხადა. მას მიზეზი არ დაუსახელებია, თუმცა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას კრიტიკა მოჰყვა ჩინელი მომხმარებლებისგან, Didi-მ იგი შეცვალა და რუსეთში დარჩა. VOA-ს ინფორმაციით, ამან ათეულობით ჩინური კომპანია შეაშფოთა, რომლებსაც ეშინიათ ჩინური ბაზრის დაკარგვა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში საქმიანობას შეწყვეტენ (VOA, 2022). TikTok-ი, რომელიც ჩინურ ByteDance-ს ეკუთვნის, ასევე დარჩა რუსეთში, რადგან დაემორჩილა რუსეთის ახალი ცენზურის კანონებს (Chen, 2022). ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, WSJ-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩინური ტექნოლოგიური კომპანიები Lenovo და Xiaomi რუსეთში პროდუქციის მიწოდებას ზღუდავდა.  ეს ცნობა მიუთითებს, რომ აღნიშნულ ჩინურ კომპანიებს აკავებს ამერიკული სანქციების მუქარა. კომპანიები ამის შესახებ საჯარო განცხადებებს არ აკეთებენ, დიდი ალბათობით, ზემოხსენებული მიზეზის გამო (Strumpf 2022).

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრ ანტონ სილუანოვის განცხადებით, რუსეთს ოქროსა და სავალუტო რეზერვების ნაწილი ჩინურ ვალუტაში, იუანში, აქვს - „ჩვენ ვხედავთ, რა ზეწოლას ახდენენ დასავლეთის ქვეყნები ჩინეთზე, რათა შეზღუდონ რუსეთის ორმხრივი ვაჭრობა ჩინეთთან... მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტნიორობა ჩინეთთან მაინც მოგვცემს საშუალებას შევინარჩუნოთ თანამშრომლობა, რომელსაც მივაღწიეთ და არა მხოლოდ შევინარჩუნოთ, არამედ გავზარდოთ იმ გარემოში, სადაც დასავლური ბაზრები იხურება“ (Trevelyan, 2022). ასევე, რუსული მედიის TASS-ის მიხედვით, რუსეთში ჩინეთის ელჩმა, ჟანგ ხანხუეიმ, თქვა, რომ რუსეთისა და ჩინეთის ცენტრალური ბანკები განიხილავდნენ ორივე ქვეყანაში ეროვნული გადახდის სისტემების, რუსული Mir-ისა და ჩინური UnionPay-ის გამოყენებისა და პოპულარიზაციის საკითხებს (“Central Banks of Russia and China to discuss use of Mir, UnionPay systems — Ambassador” 2022).

ამჟამად, როგორც ჩანს, ჩინეთი სანქციების არიდების კუთხით შეიძლება არ უწევდეს რუსეთს დახმარებას, თუმცა უცნობია ეს ასევე გაგრძელდება თუ არა. მეორეული სანქციები ჩინეთის მიმართ, შესაძლოა, არ გამოდგეს ისეთი მკაცრი ზომა, რომ ჩინეთმა მინიმალური ეკონომიკური დახმარება არ გაუწიოს რუსეთს, რაც, სავარაუდოდ, ასევე დასჭირდება. აღსანიშნავია, რომ როდესაც ირანსა და ვენესუელას სანქციები დაუწესეს, ჩინეთმა ამ ქვეყნებიდან დიდი რაოდენობით ნავთობი შეღავათიან ფასად მიიღო. მაგალითად, 2021 წელს ჩინეთმა ამ ქვეყნებიდან 2020 წელთან შედარებით 53%-ით მეტი ნავთობი შეიძინა (Cho and Chen, 2022).

**რუსეთ-უკრაინის ომის მნიშვნელობა და გავლენა ჩინეთზე**

დაახლოებით ბოლო ათწლეულია, რაც დასავლეთში ნაწილს ჩამოუყალიბდა მოსაზრება, რომ თუ რუსეთი მოკლე ვადაში საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა და საფრთხე იქნება, გრძელვადიან პერსპექტივაში მთავარი საფრთხე ჩინეთია. ეს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე მრავალი წლით ადრეც ნათელი იყო, რადგან რუსეთს აკლდა რესურსები და ის

დაღმავალი ძალა იყო. რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის შემდეგ თავისუფალი სამყაროს მიერ დაწესებულმა სანქციებმა ეს პროცესი დააჩქარა. რაც შეეხება ჩინეთს, ის მსოფლიოში მეორე ეკონომიკაა, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო გავლენა კი ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე იზრდება.

დასავლეთში მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა მოსაზრება, რომ ჩინეთის ეკონომიკური გახსნა საბოლოოდ მის პოლიტიკასაც შეეხებოდა, თუმცა კომუნისტურმა ჩინეთმა საპირისპირო დაამტკიცა და ამით თავის ავტორიტარული მმართველობა გააძლიერა. მსოფლიოში მეორე ეკონომიკა ამავდროულად კომუნისტური, ავტორიტარული ქვეყანაა, რომლის მსგავსი პრეცედენტიც არ არსებობს ეთნიკური და სხვა უმცირესობებისთვის 21-ე საუკუნის საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობითა თუ სამეთვალყურეო და შეფასების სისტემის ტექნოლოგიებით ადამიანების ცხოვრების სრული კონტროლით. ჩინეთს აქვს გრძელვადიანი მიზანი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი კომუნისტური ჩინეთის დღის წესრიგითა და ჰეგემონობით შეცვალოს.

იმისდა მიუხედავად, რომ ჩინეთს არ აწყობს რუსეთის დასუსტება, მით უმეტეს, მისი დამარცხება, და სურს მას დაეხმაროს, ჩინეთს მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებს და რუსეთთან მისი ურთიერთობაც ამის მიხედვით განისაზღვრება. თუ ის ჩათვლის, რომ პოლიტიკურად, დიპლომატიურად თუ ეკონომიკურად რუსეთის გარკვეული მხარდაჭერა მისთვის მომგებიანი იქნება, ის ასეც მოიქცევა. ამჟამინდელი გადმოსახედიდან ჩინეთი პოლიტიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას უცხადებს რუსეთს, ეკონომიკურ თუ სამხედრო ნაწილში ის ამ დროისთვის, მეტწილად, თავს იკავებს, ისევ და ისევ სანქციების მუქარის გამო, რაც მას დააზარალებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვითარება გარემოების შესაბამისად არ შეიცვლება, რადგან ჩინეთს ამის პოლიტიკური მზაობა აქვს.

ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობას და დასავლეთის საპასუხო რეაქციას დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს ჩინეთი და რუსეთისთვის ძალიან საზიანოდაც რომ დასრულდეს ყოველივე, პეკინს თავის გრძელვადიან საკვანძო მიზნებს არ შეაცვლევინებს, თუმცა, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს მის სტრატეგიაზე, პირველ რიგში, ტაივანზე, რომელთანაც „მშვიდობიანი გაერთიანების“ მიღწევა ან ძალის გამოყენებით შეჭრა განზრახული აქვს. რუსეთ-უკრაინის ომზე დასავლეთის რეაქციამ ტაივანის აღების პერსპექტივა, სამხედრო, დიპლომატიური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, მეტად რთული გახადა. თუმცა, შესაძლოა, დასავლეთის კონსოლიდაციაც მეტად რთული აღმოჩნდეს ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გამო, ვიდრე ეს რუსეთის წინააღმდეგ მოახერხეს.

დასავლეთი ჩინეთთან ურთიერთობისას იმავე და, შესაძლოა, უარესი დაპირისპირების სცენარისთვისაც უნდა იყოს მზად, რაც რუსეთისგან იხილა, ხოლო რაც სწრაფად აამუშავებენ შეკავების ძლიერ პოლიტიკას, მით სწრაფად და ეფექტიანად შეამცირებენ ჩინეთის აგრესიის შანსს.

**ხედვა საქართველოსთვის**

რაც შეეხება საქართველოს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამჟამად უკრაინაში რუსეთის ომთან დაკავშირებით ჩინეთის პოზიცია საქართველოსაც მიესადაგება, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის ამაზე უკეთესი არ იქნებოდა. კომუნისტური ჩინეთისთვის, უკრაინის მსგავსად, საქართველოც მეორეხარისხოვანი ქვეყანაა.

აღსანიშნავია, რომ, პუტინისა და სის 4 თებერვლის განცხადება NATO-ს გაფართოების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოსაც ეხება. მათი ერთობლივი წინააღმდეგობა ე.წ. ფერადი რევოლუციების, იგივე დემოკრატიული რევოლუციების შესახებ ასევე მიმართულია საქართველოსკენ. წარსულშიც არაერთხელ აღუნიშნავს ეს პეკინსაც და მის კონტროლირებულ მედიასაც. ჩინეთის და რუსეთის პირველი პირების საერთო განცხადება ე.წ. ბიოიარაღზე კარგად აჩვენებს იმ დეზინფორმაციას, რაც საქართველოს შესახებ ვრცელდება.

რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, ჩინური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მაგალითები საქართველოს წინააღმდეგ აშკარაა - ჩინურ პროპაგანდისტულ მედიაში რუსული პროპაგანდის მხარდამჭერი მასალა ქვეყნდება, რომ თითქოს, NATO-ს გაფართოება საქართველოში „რეალისტურ საფრთხეს“ წარმოადგენდა რუსეთის ზღურბლთან (GFSIS, 2022). ცნობილმა ჩინელმა პროპაგანდისტმა, ჩინეთის პროპაგანდისტული მედიის Global Times-ის ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა ხუ ძისინმაც თქვა, რომ საქართველოსა და უკრაინის NATO-ში შესვლა რუსეთისთვის მიუღებელი იყო - „ეს არის NATO-ს სამხედრო ჩექმების რუსეთის საზღვრებთან მიტანის ტოლფასი, რაც რუსეთისთვის მიუღებელია“ (GFSIS, 2022). ამავდროულად, ჩინური მედია საქართველოს ბიოლაბორატორიებზე რუსულ დეზინფორმაციას ავრცელებს, რომ თითქოს ბიოლაბორატორიები საქართველოში „ბიოლოგიურ იარაღზე“ მუშაობდნენ (GFSIS, 2022). ასევე, ჩინურ მედიაში 2008 წლის აგვისტოს ომზეც ვრცელდება დეზინფორმაცია, მაგალითად, რომ თითქოს, საქართველომ რუსეთის „პროვოცირების“ შემდეგ „მიიღო რუსული კონტრშეტევა“ (GFSIS, 2022).

ამრიგად, ისევე, როგორც რუსული აგრესიის შემთხვევაში, რუსეთის მხარდამჭერი ჩინეთის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგაც საქართველო და უკრაინა ერთ მხარეს დგანან.

## შენიშვნები


1. 中国日报网. 2022. "美国有义务就其生物军事活动给世界一个交代." March 21, 2022. https://cn.chinadaily.com.cn/a/202203/21/WS6237bc49a3101c3ee7acc7b7.html.
2. "СБ України." 2022. Twitter. https://twitter.com/ServiceSsu/status/1509983294334582793?s=20&t=eRbBBWaafntTkz81K1zSOQ.
3. "海关总署公告2022年第21号（关于允许俄罗斯全境小麦进口的公告）." 2022. 海关总署. http://www.customs.gov.cn/customs/302249/2480148/4198208/index.html.
4. Aizhu, Chen. 2022. "Russia, China agree 30-year gas deal via new pipeline, to settle in euros." Reuters, February 4, 2022. https://www.reuters.com/world/asia-pacific/exclusive-russia-china-agree-30-year-gas-deal-using-new-pipeline-source-2022-02-04/.
5. Aizhu, Chen, Julie Zhu, and Muyu Xu. 2022. "EXCLUSIVE China's Sinopec pauses Russia projects, Beijing wary of sanctions -sources." Reuters. https://www.reuters.com/business/energy/exclusive-chinas-sinopec-pauses-russia-projects-beijing-wary-sanctions-sources-2022-03-25/.
6. Alper, Alexandra, Jarrett Renshaw, and Chris Reese. 2022. "U.S. has not seen China providing military equipment to Russia -White House." Reuters. https://www.reuters.com/world/china/us-has-not-seen-china-providing-military-equipment-russia-white-house-2022-03-22/.
7. "巴丢草 Badiucao." 2022. Twitter. https://twitter.com/badiucao/status/1497589356860940291?s=20&t=1LfB6E7XgE_xDn5fImzcnQ.
8. Baptista, Eduardo. 2022. "China's DJI rejects claims of data leaks to Russia on Ukrainian military positions." Reuters. https://www.reuters.com/world/china/chinas-dji-rejects-claim-that-russian-military-uses-its-drones-ukraine-2022-03-28/.
9. Barnes, Julian E. 2022. "China Asked Russia to Delay Ukraine War Until After Olympics, U.S. Officials Say." The New York Times, March 2, 2022. https://www.nytimes.com/2022/03/02/us/politics/russia-ukraine-china.html.
10. Bloomberg.com. 2022. "China State Banks Restrict Financing for Russian Commodities." February 25, 2022. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-02-25/chinese-state-banks-restrict-financing-for-russian-commodities.
11. Bloomfield, Jenny. 2021. "China's economic sanctions made Australia more confident." Lowy Institute. https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/china-s-economic-sanctions-made-australia-more-confident.
12. Boyes, Roger. 2022. "China accused of hacking Ukraine days before Russian invasion." The Times, April 1, 2022. https://www.thetimes.co.uk/article/china-cyberattack-ukraine-z9gfkbmgf.
13. Buckley, Chris. 2013. "Vowing Change, China's Leader Airs Other Message in Private." The New York Times, February 14, 2013. https://www.nytimes.com/2013/02/15/world/asia/vowing-reform-chinas-leader-xi-jinping-airs-other-message-in-private.html.
14. Cadell, Cate. 2022. "Chinese drone company DJI received funding from Chinese government investors, despite prior claims." The Washington Post, February 1, 2022. https://www.washingtonpost.com/national-security/2022/02/01/china-funding-drones-dji-us-regulators/.
15. Caldwell, Travis, Jessie Yeung, Sana N. Haq, and Ben Church. n.d. "April 7, 2022 Russia-Ukraine news." CNN. Accessed April 15, 2022. https://edition.cnn.com/europe/live-news/ukraine-russia-putin-news-04-07-22/h_80a4549d20246240a97c27645b46f953.
16. "Central Banks of Russia and China to discuss use of Mir, UnionPay systems — Ambassador." 2022. TASS. https://tass.com/economy/1447469.

17. Chen, Yawen. 2022. "Breakingviews - China Inc walks tightest of ropes over Ukraine." Reuters, March 16, 2022. https://www.reuters.com/breakingviews/china-inc-walks-tightest-ropes-over-ukraine-2022-03-17/.

18. "Cherish Peace, Work Together in Unity,<br>and Pursue a Win-Win Future for the Asia-Pacific." 2022. Cherish Peace, Work Together in Unity,<br>and Pursue a Win-Win Future for the Asia-Pacific. https://www.fmprc.gov.cn/eng/wjbxw/202203/t20220319_10653460.html.

19. "China-Russia trade hits a record high of over $140 billion." 2022. Global Times. https://www.globaltimes.cn/page/202201/1250126.shtml.

20. "China's Activities in the South Caucasus Issue 3, 24.08.2020 – 20.09.2020." 2020. GFSIS. https://www.gfsis.org.ge/publications/view/2879.

21. "China's Activities in the South Caucasus Issue 33, 24.1.2022 – 30.1.2022." 2022. GFSIS. https://www.gfsis.org.ge/publications/view/3124.

22. "China's Activities in the South Caucasus Issue 38, 28.02.2022 – 6.03.2022." 2022. GFSIS. https://www.gfsis.org.ge/publications/view/3173.

23. "China's Activities in the South Caucasus Issue 40, 14.03.2022 – 20.03.2022." 2022. GFSIS. https://www.gfsis.org.ge/publications/view/3175.

24. Cho, Sharon, and Sarah Chen. 2022. "China Gorges On Cheap, Sanctioned Oil From Iran, Venezuela." Bloomberg.com. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-01-10/china-buys-more-sanctioned-oil-from-iran-venezuela-at-a-bargain.

25. Cho, Sharon, Sarah Chen, and Debjit Chakraborty. 2022. "As India Buys More Russian Oil, China Quietly Takes ESPO, Urals Crude Too." Bloomberg.com. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-03-24/china-is-quietly-taking-cheap-russian-crude-as-india-buys-more.

26. Falk, Pamela, and Tucker Reals. 2022. "U.N. General Assembly vote sends clear message to Russia: The world is against the war in Ukraine." CBS News. https://www.cbsnews.com/news/un-general-assembly-vote-sends-clear-message-to-russia-world-against-war-in-ukraine/.

27. Faulconbridge, Guy. 2022. "Russia could take full control of major Ukrainian cities - Kremlin." Reuters, March 14, 2022. https://www.reuters.com/world/russia-has-not-asked-china-military-help-use-ukraine-kremlin-2022-03-14/.

28. "Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying's Regular Press Conference on February 23, 2022." 2022. Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying's Regular Press Conference on February 23, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202202/t20220223_10644886.html.

29. "Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying's Regular Press Conference on February 24, 2022." 2022. Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying's Regular Press Conference on February 24, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202202/t20220224_10645282.html.

30. "Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin's Regular Press Conference on February 15, 2022_Embassy of the People's Republic of China in the United States of America." 2022. Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin's Regular Press Conference on February 15, 2022_Embassy of the People's Republic of China in the United States of America. http://www.china-embassy.org/eng/lcbt/wjbfyrbt/202202/t20220215_10642493.htm.

31. "Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin's Regular Press Conference on February 22, 2022." 2022. Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin's Regular Press Conference on February 22, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202202/t20220222_10644531.html.

32. “Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 28, 2022.” 2022. Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on February 28, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202202/t20220228_10646378.html.

33. “Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on March 25, 2022.” 2022. Foreign Ministry Spokesperson Wang Wenbin’s Regular Press Conference on March 25, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202203/t20220325_10655688.html.

34. “Foreign Ministry Spokesperson Zhao Lijian’s Regular Press Conference on March 8, 2022.” 2022. Foreign Ministry Spokesperson Zhao Lijian’s Regular Press Conference on March 8, 2022. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/2511_665403/202203/t20220309_10649938.html.

35. Gibson, Liam. 2022. “Chinese censors delete academics’ post decrying Russian invasion.” Taiwan News, February 27, 2022. https://www.taiwannews.com.tw/en/news/4456803.

36. Global Times. 2022. “US tries to refute ‘rumors’ about its bio-labs in Ukraine, but can we believe it?” March 10, 2022. https://www.globaltimes.cn/page/202203/1254486.shtml.

37. He, Laura. 2022. “Russian wheat: China lifts restrictions on imports as prices rise.” CNN. https://edition.cnn.com/2022/02/25/business/wheat-russia-china-intl-hnk/index.html.

38. The Japan Times. 2022. “Paralympic Committee asks Beijing why anti-war speech was censored.” March 6, 2022. https://www.japantimes.co.jp/sports/2022/03/06/paralympics/winter-paralympics/ipc-peace-message-china-censored/.

39. “Joint Statement of the Russian Federation and the People’s Republic of China on the International Relations Entering a New Era and the Global Sustainable Development.” 2022. President of Russia. http://en.kremlin.ru/supplement/5770.

40. Kuleba, Dmytro. 2022. “Dmytro Kuleba on Twitter: “Had a call with State Councilor and Foreign Minister Wang Yi. Grateful to my Chinese counterpart for solidarity with civilian victims. We both share the conviction that ending the war against Ukraine serves common interests of ..” Twitter. https://twitter.com/DmytroKuleba/status/1510940800510828550.

41. Lau, Stuart. 2022. “EU has ‘very reliable evidence’ China is considering military support for Russia.” POLITICO, March 18, 2022. https://www.politico.eu/article/eu-has-very-reliable-evidence-china-is-considering-military-aid-for-russia/.

42. Lee, Yimou. 2022. “Chinese carrier sails through Taiwan Strait hours before Biden-Xi call.” Reuters, March 18, 2022. https://www.reuters.com/world/china/exclusive-china-sails-carrier-through-taiwan-strait-hours-before-biden-xi-call-2022-03-18/.

43. Milmo, Dan. 2022. “China accused of cyber-attacks on Ukraine before Russian invasion.” The Guardian, April 1, 2022. https://www.theguardian.com/technology/2022/apr/01/china-accused-of-launching-cyber-attacks-on-ukraine-before-russian-invasion.

44. MORITSUGU, KEN. 2022. “China calls Russia its chief ‘strategic partner’ despite war.” AP News. https://apnews.com/article/russia-ukraine-business-europe-global-trade-wang-yi-26278cf4ea0a1f9ab6264593aedba66c?utm_campaign=SocialFlow&utm_source=Facebook&utm_medium=AP.

45. Munroe, Tony, Brenda Goh, and William Mallard. 2022. “China’s Didi reverses course, will remain in Russia.” Reuters. https://www.reuters.com/technology/chinas-didi-reverses-course-will-remain-russia-2022-02-26/.

46. Murphy, Colum, and Philip Glamann. 2022. “Beijing Tells Chinese in Russia to Help Fill Economic Void.” Bloomberg.com. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-03-22/beijing-tells-chinese-firms-in-russia-to-help-fill-economic-void.

47. “Mykhailo Fedorov.” 2022. Twitter. https://twitter.com/FedorovMykhailo/status/1504068644195733504?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1504068644195733504%7Ctwgr%5E%7Ctwcon%5Es1_&ref_url=https%3A%2F%2Fwww.theverge.com%2F22985101%2Fdji-aeroscope-ukraine-russia-drone-tracking.

48. Ni, Vincent. 2022. “China sets lowest economic growth target in decades at annual meeting.” The Guardian, March 5, 2022. https://www.theguardian.com/world/2022/mar/05/china-sets-lowest-economic-growth-target-in-decades-at-annual-meeting.

49. Nichols, Michelle. 2022. “Russian move on Ukraine aid fails at U.N. Security Council.” Reuters, March 23, 2022. https://www.reuters.com/world/russian-move-ukraine-aid-fails-un-security-council-2022-03-23/.

50. Nichols, Michelle. 2022. “U.N. General Assembly again overwhelmingly isolates Russia over Ukraine.” Reuters, March 24, 2022. https://www.reuters.com/world/un-general-assembly-adopts-ukraine-aid-resolution-criticizes-russia-2022-03-24/.

51. Nichols, Michelle, and Humeyra Pamuk. 2022. “Russia vetoes U.N. Security action on Ukraine as China abstains.” Reuters. https://www.reuters.com/world/russia-vetoes-un-security-action-ukraine-china-abstains-2022-02-25/.

52. “Non-SDN Chinese Military-Industrial Complex Companies (NS-CMIC) List Updates; Administrative Updates to the SDN, Consolidated, NS-CMIC, and SSI Lists.” 2021. Treasury Department. https://home.treasury.gov/policy-issues/financial-sanctions/recent-actions/20211216.

53. O’Donnell, John, and Andrius Sytas. 2021. “Exclusive: Lithuania braces for China-led corporate boycott.” Reuters. https://www.reuters.com/world/china/exclusive-lithuania-braces-china-led-corporate-boycott-2021-12-09/.

54. Pamuk, Humeyra, and Simon Lewis. 2022. “Sullivan raised concerns over China’s support for Russia in Rome meeting -State Dept.” Reuters, March 14, 2022. https://www.reuters.com/world/sullivan-raised-concerns-over-chinas-support-russia-rome-meeting-state-dept-2022-03-14/.

55. Politi, James. 2022. “US threatens to punish third parties helping Moscow evade sanctions.” Financial Times. https://www.ft.com/content/867dc0d2-fb7b-461e-9e54-0c545ccd8c47.

56. “President Xi Jinping Has a Video Call with US President Joe Biden.” 2022. President Xi Jinping Has a Video Call with US President Joe Biden. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202203/t20220319_10653207.html.

57. “President Xi Jinping Speaks with Russian President Vladimir Putin on the Phone.” 2022. President Xi Jinping Speaks with Russian President Vladimir Putin on the Phone. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202202/t20220225_10645701.html.

58. Qiu, Stella, Aizhu Chen, and Tony Munroe. 2022. “Factbox: China-Russia trade has surged as countries grow closer.” Reuters. https://www.reuters.com/markets/europe/china-russia-trade-has-surged-countries-grow-closer-2022-03-01/.

59. “Readout of President Joseph R. Biden Jr. Call with President Xi Jinping of the People’s Republic of China.” 2022. The White House. https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/03/18/readout-of-president-joseph-r-biden-jr-call-with-president-xi-jinping-of-the-peoples-republic-of-china-2/.

60. Roth, Andrew, and Julian Borger. 2022. “Putin orders troops into eastern Ukraine on ‘peacekeeping duties.’” The Guardian, February 21, 2022. https://www.theguardian.com/world/2022/feb/21/ukraine-putin-decide-recognition-breakaway-states-today.

61. “Russia says China refuses to supply aircraft parts after sanctions.” 2022. Reuters. https://www.reuters.com/business/aerospace-defense/russia-says-china-refuses-supply-aircraft-parts-after-sanctions-2022-03-10/.

62. “Sanctions Imposed on Russia Hurt Chinese Economy.” 2022. Voice of America. https://www.voanews.com/a/sanctions-imposed-on-russia-hurt-chinese-economy-/6469664.html.

63. Sevastopulo, Demetri. 2022. “Russia has asked China for military help in Ukraine, US officials say.” Financial Times. https://www.ft.com/content/30850470-8c8c-4b53-aa39-01497064a7b7.

64. Sevastopulo, Demetri. 2022. “US tells allies China signalled openness to providing Russia with military support.” Financial Times, March 14, 2022. https://www.ft.com/content/52ea7aab-f8d1-46b6-9d66-18545c5ef9b9.

65. Shalal, Andrea. 2022. “U.S. told NATO, Asia allies China willing to supply arms to Russia -U.S. official.” Reuters. https://www.reuters.com/world/us-told-nato-asia-allies-that-china-willing-supply-arms-russia-us-official-2022-03-14/.

66. Shalal, Andrea, Michael Martina, and David Brunnstrom. 2022. “China faces consequences if it helps Russia evade sanctions, U.S. says.” Reuters. https://www.reuters.com/world/white-house-adviser-discuss-russias-war-ukraine-with-chinas-top-diplomat-source-2022-03-13/.

67. Shalal, Andrea, Michael Martina, and Ryan Woo. 2022. “After Biden-Xi call, U.S. warns China it could face sanctions if it backs Russia in Ukraine.” Reuters, March 18, 2022. https://www.reuters.com/world/china/biden-xi-set-clash-over-putins-war-ukraine-2022-03-18/.

68. Shepardson, David, and Chizu Nomiyama. 2020. “US Adding Chinese Drone Company DJI to Economic Blacklist.” Business Insider, December 18, 2020. https://www.businessinsider.com/us-adding-chinese-drone-company-dji-to-economic-blacklist-official-2020-12.

69. Soldatkin, Vladimir, and Chen Aizhu. 2022. “Putin hails $117.5 bln of China deals as Russia squares off with West.” Reuters. https://www.reuters.com/world/putin-tells-xi-new-deal-that-could-sell-more-russian-gas-china-2022-02-04/.

70. Strumpf, Dan. 2022. “Chinese Tech Giants Quietly Retreat From Doing Business With Russia.” Wall Street Journal, May 6, 2022. https://www.wsj.com/articles/chinese-tech-giants-quietly-stop-doing-business-with-russia-11651845795.

71. Tian, Yew L., Martin Q. Pollard, and Muralikumar Anantharaman. 2022. “China says it will offer 10 million yuan more of humanitarian aid to Ukraine.” Reuters. https://www.reuters.com/world/china/china-says-it-will-offer-10-mln-yuan-more-humanitarian-aid-ukraine-2022-03-21/.

72. Toh, Michelle. 2022. “Chinese drone maker DJI halts business in Russia and Ukraine.” CNN, April 27, 2022. https://edition.cnn.com/2022/04/27/tech/dji-drone-sales-suspended-russia-ukraine-intl-hnk/index.html.

73. Torode, Greg, and Martin Q. Pollard. 2022. “Analysis: Chinese military aid to Russia would be major role reversal, analysts say.” Reuters, March 17, 2022. https://www.reuters.com/world/chinese-military-aid-russia-would-be-major-role-reversal-analysts-say-2022-03-17/.

74. “Tracing COVID-19 Origins.” n.d. Global Times. Accessed April 15, 2022. https://www.globaltimes.cn/special-coverage/Tracing-COVID-19-Origins.html.

75. Trevelyan, Mark. 2022. “Russia counts on sanctions help from China; U.S. warns off Beijing.” Reuters. https://www.reuters.com/markets/europe/russia-says-nearly-half-its-reserves-are-frozen-counts-ties-with-china-2022-03-13/.

76. Wade, Samuel. 2022. “Minitrue: Keep Weibo Posts on Ukraine Favorable to Russia; Control Comments.” China Digital Times. https://chinadigitaltimes.net/2022/02/minitrue-keep-weibo-posts-on-ukraine-favorable-to-russia-control-comments/.

77. “Wang Yi Holds Talks with Russian Foreign Minister Sergey Lavrov.” 2022. Wang Yi Holds Talks with Russian Foreign Minister Sergey Lavrov. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202203/t20220331_10658029.html.

78. “Wang Yi Speaks with Ukrainian Foreign Minister Dmytro Kuleba on the Phone.” 2022. Wang Yi Speaks with Ukrainian Foreign Minister Dmytro Kuleba on the Phone. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202203/t20220302_10646982.html.

79. Westbrook, Tom, and Kevin Yao. 2022. “Analysis: Ukraine war could spur creation of new China-led trade bloc.” Reuters, March 17, 2022. https://www.reuters.com/business/ukraine-war-could-spur-creation-new-china-led-trade-bloc-2022-03-17/.

80. Wong, Edward. 2022. “U.S. Officials Repeatedly Urged China to Help Avert War in Ukraine.” The New York Times, February 25, 2022. https://www.nytimes.com/2022/02/25/us/politics/us-china-russia-ukraine.html.

81. Woo, Ryan, and Frances Kerry. 2022. “Chinese official calls sanctions on Russia increasingly ‘outrageous.’” Reuters, March 19, 2022. https://www.reuters.com/world/chinese-official-calls-sanctions-russia-increasingly-outrageous-2022-03-19/.

82. “World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files. GDP (current US$) - China, Russian Federation.” n.d. World Bank Data. Accessed March 28, 2022. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=CN-RU.

83. “Xi Jinping Exchanges Messages of Congratulations with Ukrainian President Volodymyr Zelensky on the 30th Anniversary of the Establishment of China-Ukraine Diplomatic Relations.” 2022. Xi Jinping Exchanges Messages of Congratulations with Ukrainian President Volodymyr Zelensky on the 30th Anniversary of the Establishment of China-Ukraine Diplomatic Relations. https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202201/t20220104_10478830.html.

84. Zhang, Ambassador. 2022. “Remarks by Ambassador Zhang Jun at the UN Security Council Briefing on the Biological Security Issue of Ukraine.” Remarks by Ambassador Zhang Jun at the UN Security Council Briefing on the Biological Security Issue of Ukraine. http://chnun.chinamission.org.cn/eng/hyyfy/202203/t20220312_10651200.htm.